2025 წლის 2 ოქტომბერს 12:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სამეურვეო საბჭოს სახელზე 2025 წლის 25 სექტემბერს გამოგზავნილ N1586 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (საკითხი ეხება სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ არსებული ონლაინ დისკური მასივის მოდერნიზაციის, ტევადობის გაზრდის (ახალი დისკების და დამატებითი კალათის მიერთებით), შესაბამისი სამუშაო პროცესების მორგებისა და სამაუწყებლო სისტემის მომდევნო მხარდაჭერის (support) სახელმწიფო შესყიდვას);

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის ინფორმაციის წარდგენის შესახებ, ლაშა ტუღუშის მიერ მომზადებული დოკუმენტის (დებულების) პროექტის განხილვა - მომხსენებელი ლაშა ტუღუში.

სხდომა გაიმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობაში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში, სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში.